ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3913375

ნომერი: AR1591229

თარიღი : 05.04.2018

გაცემის თარიღი : 16.04.2018

გაცნობის თარიღი : 16.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარო მაყაშვილის ქუჩის ჩიხი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ქევანიშვილი პ/ნ 60002012075
- საქართველო, ქალაქი თბილისი, წყალტუბოს ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 34

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 5 აპრილს №AR1591229 განცხადებით მომართა დავით ქევანიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017

წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებით №01.15.07.006.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 05 მაისიდან 2017 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით.
ამავე სამსახურის 2017 წლის 23 ოქტომბრის №3631963 ბრძანებით გასწორდა სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლების ნაწილში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 3295.81 კვ.მ, დამხმარე ფართობად დაფიქსირდა 184.06 კვ.მ, ხოლო, საერთო ფართობად დაფიქსირდა 6,371.41 კვ.მ.
2018 წლის 28 მარტის №3889520 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლების ნაწილში, კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 1,147.85 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდა 6,402.94 კვ.მ.
წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და მათი ჩანაცვლება არ გამოიწვევს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ცვლილებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებაში, კერძოდ: სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 5 აპრილის №AR1591229 განცხადებაზე შეტყობინების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.